აპარატების ტექნიკური მახასიათებლები და მათი სპეციფიკაცია

1. მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების შემდგომ, გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს სსიპ -იუსტიციის სახლის ფილიალებში, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავისა და მარნეულის იუსტიციის სახლების შენობა-ნაგებობებში, ბრძანების N1 დანართში მონიშნულ ადგილებზე სავაჭრო ელექტრონული აპარატის განთავსება. კერძოდ ქუთაისის, რუსთავისა და მარნეულის იუსტიციის სახლის შენობ-ნაგებობებიდან გადაცემულ ქონებაზე, თითოეულ ფილიალში განათავსოს 1 ერთეული კომბინირებული სავაჭრო ელექტრონული აპარატი ან 2 ერთეული დამოუკიდებელი (ყავის და სნეკის) სავაჭრო აპარატი. ხოლო ბათუმის იუსტიციის სახლში 2 ერთეული დამოუკიდებელი (ყავის და სნეკის) სავაჭრო აპარატი.

2. სავაჭრო ელექტრონული აპარატების მინიმალური მოთხოვნები:

ა) კომბინირებული (ყავის და სნეკის) აპარატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

- მინიმუმ 30 პროდუქტის თარო;
- მინიმუმ 12 სახეობის ცხელი სასმელი (ყავა, ჩაი და ცხელი შოკოლადი);
- პროდუქტის შენახვა შესაბამის ტემპერატურაზე;
- მონეტის მიმღები მოწყობილობა, რომელიც უნდა იღებდეს შემდეგი სახის მონეტებს: 5 თეთრიანს, 10 თეთრიანს, 20 თეთრიანს, 50 თეთრიანს. ასევე, ერთ და ორ ლარიან მონეტებს;
- ქაღალდის ბანკნოტების მიმღები მოწყობილობა, რომელიც უნდა იღებდეს 5 ლარიან ბანკნოტებს (ძველი და ახალი ემისიის);
- ხურდის დაბრუნების ფუნქცია;
- აპარატი არ უნდა იკავებდეს 1,5 კვ.მ-ზე მეტს;
- სიმაღლე არაუმეტეს 190 სმ;

ბ) სავაჭრო (ყავის) ელექტრონული აპარატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

- მინიმუმ 12 სახეობის ცხელი სასმელი (ყავა, ჩაი და ცხელი შოკოლადი);
- პროდუქტის შენახვა შესაბამის ტემპერატურაზე;
- მონეტის მიმღები მოწყობილობა, რომელიც უნდა იღებდეს შემდეგი სახის მონეტებს: 5 თეთრიანს, 10 თეთრიანს, 20 თეთრიანს, 50 თეთრიანს. ასევე, ერთ და ორ ლარიან მონეტებს;
- ქაღალდის ბანკნოტების მიმღები მოწყობილობა, რომელიც უნდა იღებდეს 5 ლარიან ბანკნოტებს (ძველი და ახალი ემისიის);
- ხურდის დაბრუნების ფუნქცია;
- აპარატი არ უნდა იკავებდეს 0,5 კვ.მ-ზე მეტს;
- სიმაღლე არაუმეტეს 190 სმ;

გ) სავაჭრო (სნეკის) აპარატის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

- მინიმუმ 30 პროდუქტის თარო;
- პროდუქტის შენახვა შესაბამის ტემპერატურაზე;
- მონეტის მიმღები მოწყობილობა, რომელიც უნდა იღებდეს შემდეგი სახის მონეტებს: 5 თეთრიანს, 10 თეთრიანს, 20 თეთრიანს, 50 თეთრიანს. ასევე, ერთ და ორ ლარიან მონეტებს;
- ქაღალდის ბანკნოტების მიმღები მოწყობილობა, რომელიც უნდა იღებდეს 5 ლარიან ბანკნოტებს (ძველი და ახალი ემისიის);
- ხურდის დაბრუნების ფუნქცია;
- აპარატი არ უნდა იკავებდეს 1 კვ.მ-ზე მეტს;
- სიმაღლე არაუმეტეს 190 სმ;

3. კონკრეტული სახის ელექტრონული სავაჭრო აპარატების განთავსების ადგილები და რაოდენობა:

ფილიალი	განთავსების ადგილი
ბათუმი	ტურიზმის საინფორმაციო კუთხესთან
ქუთაისი	ქორწინების სახლთან
რუსთავი	ფოტო ჯიხურებთან
მარნეული	ფოტო ჯიხურებთან